



დასავლეთის ხელშეწყობის
სახელმწიფო სააგენტო

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

საქმიანობის ანგარიში

2020 წელი

1. შესავალი

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო შეიქმნა 2019 წლის 31 ოქტომბერს[1] და ფუნქციონირებს 2020 წლის პირველი იანვრიდან.

სააგენტო თავისი საქმიანობის განხორციელების დროს მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან.

ახლად შექმნილი სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სააგენტოს სწრაფი ინსტიტუციური განვითარება, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების გაუმჯობესების, ასევე თბილისსა და რეგიონულ წარმომადგენლობებში სამუშაო მაძიებლებისთვის სერვისების შეუფერხებლად მიწოდების მიზნით.

სააგენტოს საქმიანობა მკვეთრად შეაფერხა ახალი კორონავირუსის COVID-19 მიერ გამოწვეულმა პანდემიამ, რომელმაც შეცვალა არამართო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრება და სამუშაო პროცესი.

2020 წლის 16 მარტს საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს № 01-73/ო ბრძანების თანახმად და საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო, სააგენტო მარტის თვიდან აგვისტოსთვის ბოლომდე გადავიდა მაქსიმალურად დისტანციური მუშაობის რეჟიმზე (იხილეთ დანართი #1), რა დროსაც სრულად შეჩერდა დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებების მიწოდება და სააგენტო სრულად ჩაერთო ანტიკრიზისული სამთავრობო პროგრამის განხორციელების პროცესში. შესაბამისად, ანგარიშში, პროგრამების შესრულების სტატისტიკურ ინფორმაციაში ცალკე გამოყოფილია ის ორ თვიანი პერიოდი (ოქტომბერი და ნოემბერი), როცა სააგენტომ შეძლო შედარებით აქტიური მუშაობა სამუშაოს მაძიებლებთან.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის 30 ნოემბრიდან სააგენტო ისევ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილებით დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე. არსებული სიტუაცია გაგრძელდება 2021 წლის 16 იანვრამდე, რადგან საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის №698 დადგენილების თანახმად, 2021 წლის 15 იანვრამდე არსებული სამუშაო დღეები ოფიციალურად გამოცხადდა უქმე დღეებად. სააგენტოში მიმდინარე წლის 30 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე დაწესდა დისტანციური მუშაობის რეჟიმი და გაიწერა თანამშრომელთა დისტანციურად მუშაობის წესი. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართები #2-1, #2-2 და #2-3.

2. სააგენტოს ინსტიტუციური განვითარება

2.1 .ადამიანური რესურსის მოძიება

სააგენტომ 2020 წლის თებერვლის თვიდან აქტიურად დაიწყო სააგენტოში არსებული ვაკანსიების გამოქვეყნება ვაკანსიების საჯარო სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე hr.gov.ge. 19 თებერვლიდან 28 აპრილამდე პერიოდში სააგენტომ გამოაქვეყნა 48 განაცხადი 67 ვაკანტურ პოზიციაზე შემდეგი საკადრო რესურსების მოძიების მიზნით:

- წარმომადგენლები, ასევე დასაქმების, კარიერის დაგეგმვისა და მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტები თბილისის ხუთ რაიონულ ცენტრსა და შემდეგ რეგიონულ სერვისცენტრებში: ქვემო ქართლი, კახეთი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამცხე ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარის ა.რ.
- დასაქმების სახელმწიფო პროგრამების და სამუშაო მაძიებლის და დამსაქმებლების მოძიებისა და აღრიცხვის სამმართველოს მთავარი და უფროსი სპეციალისტები,
- შრომითი მიგრაციის სამმართველოს უფროსი და სპეციალისტები,
- ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტები.

როგორც უკვე აღინიშნა, COVID-19-ს ვირუსით გამოწვეული პანდემიის შედეგად შექმნილმა სიტუაციამ საგრძნობლად შეაფერხა როგორც სააგენტოს სერვისების მიწოდება სამუშაოს მაძიებლებისთვის, ისე დაგეგმილი გასაუბრებების ჩატარებისა და კადრების შერჩევის პროცესები. სააგენტოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კადრების შერჩევის პროცესი გაგრძელდა დისტანციურ რეჟიმში, დისტანციური



საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. შედეგად თბილისისა და საქართველოს რამდენიმე რეგიონულ სერვის ცენტრში დაინიშნენ კონსულტანტები. მოძიებული კადრების გადანაწილება მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. (იხილეთ სააგენტოს დირექტორის 2020 წლის სექტემბრის ბრძანება კადრების დანიშვნის შესახებ, დანართი #3-1, #3-2, #3-3, #3-4)

ცხრილი #1. შერჩეული კადრების გადანაწილება სერვისცენტრების მიხედვით.

თბილისის საქალაქო ცენტრი	1 წარმომადგენელი
თბილისის რაიონულ ცენტრებში	4 კარიერის დაგეგმვის კონსულტანტი, 2 მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი
იმერეთის სამხარეო ცენტრი (ქუთაისი)	1 წარმომადგენელი, 2 დასაქმების კონსულტანტი , 1 მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი
სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ცენტრი (ზუგდიდი)	1 მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი
კახეთის სამხარეო ცენტრი (თელავი)	2 წარმომადგენელი, 1 კარიერის დაგეგმვის კონსულტანტი, 1 მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი
ქვემო ქართლის სამხარეო ცენტრი (რუსთავი)	1 წარმომადგენელი, 1 დასაქმების კონსულტანტი , 1 მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი

2.2 დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სერვისების განვითარება

სააგენტომ ევროკავშირისა და გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციის GIZ-ის ექსპერტების ჩართულობით გადაახალისა ახალი სერვის მოდელი და ასევე შეიმუშავა დამსაქმებლებთან მუშაობის მოკლე სახელმძღვანელო. იხილეთ დანართები #4 და #5.

სააგენტოს 2021 წლისთვის გეგმავს აქტივობებს მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტირების მეთოდოლოგიის განვითარების მიზნით.

2.3 საკადრო რესურსების განვითარება

2020 წლის სექტემბრის თვეში, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, სააგენტომ განახორციელა პირველი საორიენტაციო ტრენინგი არსებული და ახლად შერჩეული კონსულტანტებისთვის.



GOPA-ს ტექნიკურმა ექსპერტებმა კონსულტანტებს გააცნეს ის სიახლეები, რასაც გადამუშავებული ახალი სერვისის მოდელი და დამსაქმებელთა სერვისების ახალი სახელმძღვანელო ითვალისწინებდა. IOM-ის ექსპერტებმა კი კონსულტანტებს მიაწოდეს ძირითადი ინფორმაცია ცირკულარული შრომითი მიგრაციის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების და უკვე ხელმოწერილი სახელმწიფო შეთანხმებების შესახებ. აღნიშნულ საორიენტაციო ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 42 კონსულტანტმა. ტრენინგი ჩატარდა 3 ეტაპად. 14.09 - 17.09 და 28.09 – 01.10. პერიოდებში - თბილისში, თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონული სერვის ცენტრების თანამშრომლებისთვის, ხოლო 21-24 სექტემბრის პერიოდში - ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს რეგიონული სერვისცენტრების თანამშრომლებისთვის. სააგენტოს 2 კონსულტანტი, თვითიზოლაციაში ყოფნის გამო, ტრენინგს დაესწრო ონლაინ რეჟიმში. მაგალითისთვის იხილეთ დანართი #6, 14-17 სექტემბერს ჩატარებული ტრენინგის დღის წესრიგი. დღის წესრიგი ანალოგიური იყო დანარჩენი ეტაპის ტრენინგებისთვის.

2020 წლის 9-13 ნოემბერს, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერითა და ორგანიზაცია „ანიკას“ ჩართულობით, სააგენტოს მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებისთვის ჩატარდა ჩაღრმავებული ტრენინგი მხარდაჭერით დასაქმების სერვისის გაუმჯობესებისთვის. უნდა აღნიშნოს, რომ იმ პერიოდისთვის არსებული, რთული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, ტრენინგი მთლიანად დისტანციურ რეჟიმში გაიმართა. ორგანიზაცია "ანიკას" დახმარებით გადაიხედა და გაუმჯობესდა მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების და კოორდინატორის სამუშაო აღწერილობები. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია დანართებში #7-1, #7-2 და #7-3.

სააგენტო აგრძელებს მუშაობას ინსტიტუციური განვითარებისთვის, ტექნიკურ ექსპერტებთან ერთად და ამ მიზნით 2021 წლის დასაწყისში დაგეგმილია სპეციალური ვორკშოფები არსებული სიტუაციის შეფასებისთვის და განვითარების ტენდენციების დასახვისთვის. 2021 წელს ასევე იგეგმება საორიენტაციო ტრენინგები იმ თანამშრომლებისთვის, რომელთა რეკრუტირება მოხდება ვაკანტურად დარჩენილ სამუშაო ადგილებზე.

3. ანტიკრიზისული სამთავრობო პროგრამის განხორციელება

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების



დასაქმების ხელშეწყობის
სახელმწიფო სააგენტო

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისი N286 დადგენილების თანახმად დასაქმების სახელმწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელი უწყებად.

შედეგად, სააგენტო ჩაერთო პანდემიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციების გაცემის ადმინისტრირების პროცესში. კერძოდ, სააგენტოს დაევალია კომპენსაციების გაცემა იმ დაქირავებით დასაქმებულებისთვის და ფორმალური და არაფორმალური თვითდასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ანდა შემოსავალი პანდემიის შედეგად.

დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრა თვეში 200 ლარით, 6 თვის ოდენობით, ხოლო თვითდასაქმებულებისთვის განისაზღვრა ერთჯერადი კომპენსაცია 300 ლარის ოდენობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სტატისტიკური ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებიც გახლდნენ დაქირავებით დასაქმებულები, დაკარგეს სამსახური და სააგენტომ გადაუხადა კომპენსაცია 200 ლარი.

ცხრილი #4, 200 ლარიანი კომპენსაციების გაცემა

პერიოდი	პირთა რაოდენობა	გადარიცხული თანხა
მაისი	72 164 პირი	14 432 800 ლარი;
ივნისი	132 679 პირი	29 835 400 ლარი;
ივლისი	118 578 პირი	24 357 600 ლარი;
აგვისტო	96 182 პირი	19 353 000 ლარი
სექტემბერი	88 800 პირი	18 244 400 ლარი;
ოქტომბერი	82633 პირი	16 631 500 ლარი.
ნოემბერი	31 976 პირს	6 409 400 ლარი
დეკემბერი	8990 პირი	1 913 900 ლარი
სულ	162 271	131 237 800 ლარი

არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთვის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა აღნიშნული კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. სააგენტოს ყველა თანამშრომელი, 2020 წლის მაისი-აგვისტოს თვეებში, ჩართული იყო თვითდასაქმებულთა მიერ წარმოდგენილი განცხადებების დამუშავებისა და ერთჯერადი კომპენსაციების გადარიცხვის ადმინისტრირების პროცესში. განცხადებების მიღება და დამუშავება ხორციელდებოდა ელექტრონულად, სპეციალურად შექმნილი



დასაქმების ხელშეწყობის
სახელმწიფო სააგენტო

სარეგისტრაციო პორტალის საშუალებით. სულ, სამუშაო ჯგუფის მიერ ამ პერიოდში განხილულ იქნა 124 348 განაცხადი.

ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაცია მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა და ჯამში ამ მიზნით სააგენტოს მიერ გადაირიცხა 74 660 000 ლარი. სააგენტოს მიერ განხორციელებული გადარიცხვების რეესტრი წარმოდგენილია დანართში #8.

4. დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2020 წლის სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი - 27 05 01).

პროგრამის მიზანია საქართველოში მცხოვრები სამუშაოს მაძიებლების მოძიება და აღრიცხვა, ასევე დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სერვისების მიწოდება მათთვის. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

4.1. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის – www.worknet.gov.ge-ს განვითარება;

შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარების მიზნით, სააგენტოს დაწყებული აქვს მუშაობა პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან ერთად. ამ ეტაპზე სააგენტო მუშაობს საკონსულტაციო დეველოპერული ორგანიზაციის იდენტიფიცირების მიმართულებით, რომლის ჩართულობით სააგენტო შეძლებს ტექნიკური დავალების შედგენას, რომელზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდება ახალი Worknet-ის შექმნა, რომელიც თავის მხრივ სრულად დააკმაყოფილებს სააგენტოს საჭიროებებს და უპასუხებს მონაცემთა მართვის, დაცვისა და კიბერუსაფრთხოების თანამედროვე მოთხოვნებს

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სისტემაში რეგისტრაცია გაიარა სულ 33 693 სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის ქალი 17 333, ახალგაზრდა 8 621, ქ. თბილისში - 7 280, აჭარა 3 153, გურია 1 169, იმერეთი 5 357, კახეთი 3 320, სამეგრელო ზემო სვანეთი 3 526, სამცხე -ჯავახეთი 1 543, ქვემო ქართლი 4 045, შიდა ქართლი 2 718, რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი 597, მცხეთა- მთიანეთი 900 და სხვა 85.

აღნიშნულ პერიოდში სისტემაში 269 დამსაქმებელმა დაარეგისტრირა 3 434 თავისუფალი სამუშაო ადგილი. შემოსული ვაკანსიების დინამიკა იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში #5.



ცხრილი #5

	პირველი 9 თვის მდგომარ ეობით	ოქტომბერი	ნოემბერი	დაკუმბერი	სულ
დამსაქმებლების რაოდენობა	192	27	34	16	269
ვაკანსიების რაოდენობა	2,488	516	259	171	3,434

4.2 შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა მუნიციპალურ დონეზე;

ქვემოთ მოცემულ მე-6 ცხრილში წარმოდგენილია სტატისტიკური იფნორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებსაც კონსულტირება გაეწიათ ახალი სერვისმოდელის მიხედვით. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სააგენტო პროაქტიულად უკავშირდება იმ პირებს, რომლებიც იყვნენ დასაქმებულნი და პანდემიის შედეგად დაკარგეს სამუშაო. კომუნიკაციის მიზანს წარმოადგენს სააგენტოს მათთვის დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შეთავაზება მათი ხელახალი დასაქმების მიზნით

ცხრილი 6

ინდ.კონსულტირება	ოქტომბერი	ნოემბერი
პირველადი რეგისტრაცია	72	41
თანხმობა მომსახურების მიღებაზე	244	183
პროფილის რედაქტირება	172	146
მომხმარებლის დასაქმების შესაძლებლობის შეფასება	208	156

რაც შეეხება ჯგუფურ კონსულტირებას, აღნიშნული აქტივობა დაგეგმილი იყო პირველი კვარტლის ბოლოს, თუმცა ზემოთ აღნიშნული შეზღუდვების პირობებში სააგენტომ უარი განაცხადა მასობრივი ხასიათის ღონისძიებების განხორციელებაზე, მათ შორის დასაქმების ფორუმების ორგანიზებაზე.

4.3 საშუამავლო მომსახურების გაწევა/ განვითარება;

საანგარიშო პერიოდში დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ იქნა 3 434 ვაკანსია. საშუამავლო მომსახურების გაწევის (სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის) მიზნით, ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს. ვაკანსიების



ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 1700 პირი. დაწვრილებითი სტატისტიკური ინფორმაცია მოცემული ცხრილში #7.

ცხრილი #7	9 თვის მდგომარეობით	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
ორგანიზაციების რაოდენობა	192	27	34	16	269
პოზიციების რაოდენობა		77	61		
ვაკანტური ადგილების რაოდენობა	2488	516	259	171	3434
მათ შორის მასობრივი გასაუბრების რაოდენობა		10	5		
მათ შორის ვაკანტური ადგილების რაოდენობა		232	39		
საერთო საგზურების რაოდენობა	1097	297	306	106	1806

სააგენტომ, შემოსავლების სახელმწიფო სამსახურის დახმარებით, აღნიშნული 1806 სამუშაო მაძიებელთა შორის მოახდინა იმ პირთა იდენტიფიკაცია, ვინც დასაქმდა მიმდინარე წელს.

სულ, საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 343 სამუშაოს მაძიებელი. აქედან 69 დასაქმდა იმ დამსაქმებელთან, ვისთანაც შუამავლობა გაეწია სააგენტოს მიერ, ხოლო 274 პირი სხვა დამსაქმებელთან.

4.4 პროფკონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების დანერგვა და გაწევა მუნიციპალურ დონეზე;

სააგენტოს სერვის ცენტრებში ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირება ჩაუტარდა 72 პირს. აღნიშნული სერვისის ინტენსიურად განხორციელება დაიწყო 2020 წლის ნოემბრის თვიდან. სტატისტიკური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში #8.



ცხრილი #8

	9 თვის მდგომარეობით	ოქტომბერი	ნოემბერი	სულ
პროფ/კარიერის დაგეგმვა	3	2	67	72

4.5 მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;

სააგენტოს 4 სერვის ცენტრში მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა 12 შპს პირს გაუწიეს მხარდაჭერითი მომსახურება. შპს პირთათვის მოძიებული იქნა 9 ვაკანსია. მიმდინარე წელს საშუაშალო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 9 შპს პირი.

4.6 დასაქმების ფორუმების მოწყობა;

HR hub-ის მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმზე, რომელიც გაიმართა 2020 წლის 28-29 თებერვალს, სააგენტომ განახორციელა საინფორმაციო მხარდაჭერა. ფორუმის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს.

7 მარტს, ახალგაზრდული ასოციაცია „დრონი“-ს და სტუდენტური ინიციატივის „ამოიცანი შესაძლებლობა“-სთან ერთად ორგანიზებულ დასაქმების ფორუმზე, რომელიც ეხებოდა სამუშაო მაძიებელი შპს პირების შეხვედრას პოტენციურ დამსაქმებლებთან, სააგენტომ განახორციელა საინფორმაციო მხარდაჭერა. ფორუმის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს.

5 „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“ (პროგრამული კოდი 27 05 03)

როგორც უკვე აღინიშნა, პროფკონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება მიეწოდა 71 სამუშაოს მაძიებელს. პარალელურად მიმდინარეობა პროაქტიული მუშაობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სააგენტოსთან თანამშრომლობის ხელშეკრულების განახლებისთვის. მოგეხსენებათ რომ 2020 წლიდან სააგენტო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში აფინანსებს მხოლოდ ისეთ პროგრამებს, რომლებიც



დასაქმების ხელშეწყობის
სახელმწიფო სააგენტო

აღიარებულია საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. აღნიშნული სიახლე მიმართულია მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების შინაარსისა და ხარისხის გაუმჯობესებისკენ.

ამ ეტაპისთვის თანამშრომლობის ხელშეკრულებები გაფორმებულია თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის და საჩხერის კოლეჯთან.

სწავლის პროცესი დეკემბრის ბოლოს დაიწყო ქალაქ თბილისში, იმერეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. სასწავლო პროცესში, ქ. თბილისში ჩაერთო 326 მოსარგებლე, ხოლო რეგიონში - 116 მოსარგებლე (იმერეთი - 60, სამეგრელო ზემო სვანეთი - 56). სულ, 442 ბენეფიციარი.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სასწავლო პროცესი ქ. თბილისში და ქ. ზუგდიდში მიმდინარეობს დისტანციური სწავლის რეჟიმით, ხოლო ქ. საჩხერეში, აუდიტორიებში.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს სტაჟირების კომპონენტს. მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში შპს "კოდალამ" მომართა სააგენტოს სტაჟირების პროგრამაში ჩართვის მიზნით და წარადგინა 15 ვაკანტური ადგილი. სტაჟირების კომპონენტში ჩაერთო 19 სტაჟიორი.

2020 წლისთვის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია აქტივობები საკვანძო კომპეტენციების განვითარების მიმართულებით. ამ მიზნით სააგენტომ შეიმუშავა და 2020 წლის 18 აგვისტოს დაამტკიცა საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი. იხილეთ დანართები #9-1 და #9-2. (დანართში წარმოდგენილია ბრძანება 18 აგვისტოს დამტკიცებულ დოკუმენტში ცვლილების შეტანის თაობაზე) აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ტრენინგების მოწოდების მიზნით, სააგენტო ახორციელებს ე.წ. ბაზრის მოკვლევას რათა შევისწავლოთ აღნიშნული ტრენინგები მომწოდებელი ორგანიზების კუთხით არსებული სიტუაცია როგორც თბილისში ისე რეგიონებში. აღნიშნული კომპონენტის შესრულება მიმდინარე წელს ვერ მოხერხდა იმ გარემოებების გამო, რაც სააგენტოში იყო შექმნილი საგანგებო სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე.

6 დასკვნა

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს აქტივობებს მხოლოდ ნოემბრის თვის ჩათვლით. სააგენტო მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში აგრძელებს მუშაობას დისტანციურ რეჟიმში და ეს პერიოდი მთლიანად ეძღვნება სააგენტოს 2021 წლის სამოქმედო გეგმის



დასაქმების ხელშეწყობის
სახელმწიფო სააგენტო

შემუშავებას. სამოქმედო გეგმის დახმარებით სააგენტო, არსებული ფინანსური და ადამიანური რესურსების, ასევე პანდემიის შედეგად განპირობებული ახალი რეალობისა და ახალი გამოწვევების გათვალისწინებით, შეძლებს უკეთესად დაგეგმოს თავისი საქმიანობა და გაზარდოს სამუშაო პროცესების ეფექტურობა, ასევე იმ ინდიკატორების შესრულება რაც გათვალისწინებულია შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დოკუმენტებში.

სამოქმედო გეგმის შემუშავება ხორციელდება ტექნიკური დახმარების ექსპერტებთან მჭიდრო კომუნიკაციით.